ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №23
(გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 16 იანვარს ქ. თბილისში

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის **ნინო მურჯიკნელის** სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: ფიზიკური პირი „თეიმურაზი ტყეშელაშვილი"

პირადი ნომერი: 60001055732

მისამართი: ქ.ქუთაისი, ი.დავითაშვილის ქუჩა N4

საბანკო რეკვიზიტები: სს "პროკრედიტ ბანკი" ; ბანკის კოდი MIBGGE22; ანგარიშის № GE37PC0313600100009284.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს ადმინისტრაციული კორპუსის ლიფტების სამანქანოს სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოს შესყიდვა დანართის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად (CPV-45300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **2 875,00 ლარი.**

ორი ათას რვაას სამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.1.1 ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით (ხარჯთაღრიცხვა).

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს სამუშაოს შესრულებასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს სამინისტროს ადმინისტრაციული კორპუსის, ლიფტების სამანქანოს სახურავის **(117 კვადრატული მეტრი)** კაპიტალური შეკეთების სამუშაოს შესრულება, დანართის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად.

ბ) სამუშაო განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

გ) შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) წელი; კერძოდ სამუშაოს დასრულების შემდგომ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

4.4 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს სამუშაოს შესრულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს სამუშაოს ხარისხი, სამუშაოს შესრულების მიმდინარეობა;

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, ანგარიშ-ფაქტურის (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა) და ფორმა №2-ის წარმოდგენის შემდეგ.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს ტარიელ ტეფნაძეს.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1 შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

6.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

7. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

7.1 სამუშაო უნდა განხორციელდეს მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12.

7.2 სამუშაო უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2015 წლის 20 იანვრის ჩათვლით.**

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.**

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 მუხლის „გ" ქვეპუნქტი და მე-10 მუხლის 10.3 და 10.5 პუნქტები მოქმედებს საგარანტიო ვადის დასრულებამდე.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ბექა ბარნოვს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

9.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო სამუშაოს შესრულება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულება წარმოადგენს სამუშაოს შესრულების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასითი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი	**ფიზიკური პირი თეიმურაზი ტყეშელაშვილი**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის ლიფტების სამანქანოს სახურავის კაპიტალური შეკეთების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომ.	რაოდენ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტირება		ჯამი
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სახურავის დაზიანებული ადგილების მოხსნა	მ2	60			1,2	72			72,00
	ა) ღვარსადენის გაწმენდა	ცალი	1			15	15			15,00
2	სახურავის დაგვა-დასუფთავება მთელ ფართზე (ნარჩენების ტომრებში ჩაყრით)	მ2	117			1	117			117,00
3	სახურავის დამუშავება პრაიმერით (მხოლოდ მყარ დარჩენილ ადგილებზე ალაგ-ალაგ და კედლებზე)	მ2	30			0,5	15			15,00
	ა) ბითუმის ემულსია	ლტ	10	2,5	25		0			25,00
	ბ) ღრუბელის გორგოლაჭი	ცალი	1	8	8		0			8,00
4	სახურავზე ერთი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალის მოწყობა	მ2	117		0	5,79	677			677,0
	ა)ტექნოელასტი (1,15)	მ2	134,55	8,5	1144,00		0	50,00		1194,00
	ბ) თხევადი აირი	კგ	20	3,25	65		0			65,00
	გ) მასალების სახურავზე აზიდვა	ცალი	14		0	8	112			112,00
	სულ ჯამი საშემოსავლო გადასახადის გარეშე									2300,00
	სულ ჯამი საშემოსავლო გადასახადის 20% ჩათვლით									2875,00

შემსრულებელი: /თ.ტყეშელაშვილი/

დამკვეთის წარმომადგენელი: /ტ.ტეფნაძე/

16.01.2015 წ.